

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების  
სამინისტრო

სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო



გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით  
მსუბუქი ავტომობილების დაზღვევის შესყიდვის  
სატენდერო დოკუმენტაცია

**CPV-66500000**

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

2016  
წელი

## 1. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.1. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

ა) პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილ ფასების ცხრილს დანართი №1-ში მოცემული ფორმით. სატენდერო წინადადების ფასები უნდა მოიცავდეს ამ ტენდერით გათვალისწინებული ობიექტის სრულყოფილად მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაეკვემდებარება ანაზღაურებას.

ბ) პრეტენდენტის რეკვიზიტები: მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი (დანართი N2-ის მიხედვით).

გ) შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია.

დ) სადაზღვევო პირობები.

ე) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია სადაზღვევო ბაზარზე ანალოგიური სადაზღვევო მომსახურების გაწევის მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილების შესახებ.

ვ) ინფორმაცია ზარალის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომის შემთხვევისას „მიმწოდებლისათვის“ „შემსყიდველის“ მიერ ზარალის ასანაზღაურებლად წარმოსადგენი დოკუმენტების შესახებ.

## 2. ტექნიკური დავალება:

2.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

ა) ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანხმობის დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება განხორციელდება კვარტალურად, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

ბ) მომსახურების გაწევის ვადა: 2017 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, 2.2.პუნქტში განსაზღვრული მომსახურების გაწევის პირობების შესაბამისად.

გ) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

დ) წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.

ე) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ (ამ შემთხვევაში სისტემაში ატვირთული უნდა იქნეს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

## 2.2. მომსახურების გაწევის პირობები

შესყიდვის ობიექტი: სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ბალანსზე რიცხული 8 (რვა) ერთეული მსუბუქი ავტომობილის დაზღვევა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე .

- ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზღვევა ნაწილობრივი და სრული ზარალის შემთხვევაში ნულოვანი ფრანშიზით.
- ავტოსატრანსპორტისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებულ დაზიანება; ხანძარი, აფეთქება, გატაცების მცდელობა (ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა).
- მინების, სარკეების, დეტალებისა და სხვა აქსესუარების დაზიანება ანდა ქურდობა.
- სტიქიური უბედურებები.
- ავტოსაგზაო შემთხვევა (მიუხედავად ბრალეულობისა).
- ავტოსატრანსპორტის ევაკუაციასთან დაკავშირებული ხარჯები.
- სატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტოსატრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი საბალანსო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს ან თუ განადგურებულია ავტომანქანის 70% ან მეტი. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველის არჩევანის შესაბამისად მიმწოდებელმა უნდა აანაზღაუროს ავტომობილის აღდგენითი ან შენაცვლებითი ღირებულება.
- მძღოლისა და მისი მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან.პოლისში მითითებული ლიმიტის ფარგლებში დაზღვეული მგზავრების ან/და მძღოლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან ან/და გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც გამოწვეულია დაზღვეული ავტომობილით მგზავრობისას დაზღვეული ავტომობილის ავტოსაგზაო შემთხვევით. ლიმიტი ერთეულ ავტომობილზე არანაკლებ 20 000 ლარი, სუბლიმიტი ერთ პირზე არანაკლებ 4 000 ლარი (ფრანშიზა 0%).
- მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა. კერძოდ, დაზღვეული ავტოსატრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა

და/ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დადგომა - ლიმიტი ერთეულ ავტომობილზე არანაკლებ 20 000 ლარი (ფრანშიზა 0%).

- მძღოლად ითვლება 21 წელს და ზევით მართვის უფლების მქონე პირი.
- ზიანის დადგომის შემთხვევაში ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელთან ერთად უნდა განსაზღვროს ავტომობილის მწარმოებლის საქართველოში ოფიციალურმა წარმომადგენელმა კომპანიამ (ასევე შეკეთდეს მასთან გონივრულ ვადაში) დეფექტური აქტის მიხედვით (შემდეგ ავტომანქანებზე: ჰიუნდაი აქსენტი სახ. ნომერი CQQ 797; ჰიუნდაი ელანტრა სახ. ნომერი CQQ-788, ჰიუნდაი სონატა სახ. ნომერი FFT-090; კია სერატო სახ. ნომერი MTA-070; ჰიუნდაი აქსენტი სახ. ნომერი VWW-196; ჰიუნდაი აქსენტი სახ. ნომერი VWW-197; ჰიუნდაი აქსენტი სახ. ნომერი VWW-198, სუზუკი სვიფტი სახ. ნომერი GBB-573), რასაც უნდა დაეთანხმოს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიაშემსყიდველთან შეთანხმებით წყვეტს აღნიშნულ საკითხს.
- ზიანის ანაზღაურებას შესაბამის პროფილაქტიკურ ცენტრთან ახორციელებს სადაზღვევო კომპანია.
- ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღეში, ქურდობა ყაჩაღობის შემთხვევაში მაქსიმუმ 1 თვეში.
- დასაზღვევო ავტომანქანების სია და მათი საბალანსო ღირებულება იხილეთ ფასების ცხრილში (დანართი №1).
- მიმწოდებელი ვალდებულია დაზღვევის მომსახურების დადასტურების მიზნით გადასცეს შემსყიდველს შესაბამისი დაზღვევის პოლისი.

**3. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ საკონტაქტო პირისაგან: სატენდერო კომისიის**

აპარატის წევრი – თამარ თავართქილაძე

ტელ : 591 22 88 22 ან 577 22 16 10, E-mail: [t.tavartkiladze@mta.gov.ge](mailto:t.tavartkiladze@mta.gov.ge)

#### 4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ბათუმი

----- 2016წ.

ერთის მხრივ, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა ახალაძის სახით, შემდგომში შემსყიდველი და მეორეს მხრივ -----  
----- (მიმწოდებლის დასახელება) წარმოდგენილი მისი -----  
----- (თანამდებობა, სახელი, გვარი), შემდგომში \_ მიმწოდებელი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

##### 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას „შემსყიდველს“ მიაწოდოს მომსახურება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის #SPA----- ტექნიკური დავალებისა დადანართი №1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.
- 1.2. დანართი №1 და ტექნიკური დავალება წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

##### 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

- 2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება (შემდგომში - ხელშეკრულების ფასი) შეადგენს: \_\_\_\_\_,\_\_\_\_(თანხა სიტყვიერად) ლარს.
- 2.2. ხელშეკრულების ფასი და ერთეულის ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.
- 2.3. დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები

##### 3. მომსახურების მიწოდების პირობები

- 3.1. ვადები:
  - 3.1.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 01.01.2017-დან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 3.2. ადგილი:
  - 3.2.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ტექნიკური დავალების შესაბამისად.

##### 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ორ ეგზემპლარად.
- 4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.

##### 5. ანგარიშსწორების პირობები

- 5.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღლო ანგარიშსწორება ლარებში.
- 5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ყოველთვიურად, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ინვოისის საფუძველზე, წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

## **6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

## **7. მომსახურების შესაბამისობა**

7.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების პირობებს და მსგავსი მომსახურებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებს.

7.2. 7.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

## **8. მხარეთა ვალდებულებები**

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;
- ბ) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 7.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობით;
- გ) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;
- ბ) მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს ინსპექტირება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე.

## **9. მხარეთა უფლებები**

9.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

9.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

9.2.1. აწარმოოს მოწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

## **10. ინსპექტირების პირობები**

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტი.

10.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურების ინსპექტირება.

## **11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**12. დასკვნითი დებულებები**

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

12.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება “მიმწოდებელთან”, ორი – “შემსყიდველთან”.

**13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო  
მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.23

ხელმოწერა \_\_\_\_\_

ბ.ა.

ხელმოწერა \_\_\_\_\_

ბ.ა.

5. ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება \_\_\_\_\_

№	დასახელება	სახელმწიფო N	რაოდენობა	გამოშვების წელი	საბალანსო ღირებულება	1 თვის სადაზღვევო პრემიის ღირებულება	სადაზღვევო პრემიის საერთო ღირებულება	სადაზღვევო პერიოდი
1	ჰიუნდაი აქსენტი	CQQ-797	1	2013	13731.10			01.01.2017-დან 31.12.2017-ჩათვლით
2	ჰიუნდაი ელენტრა	CQQ-788	1	2013	18811.12			01.01.2017-დან 31.12.2017-ჩათვლით
3	ჰიუნდაი სონატა	FFT-090	1	2012	21022.24			01.01.2017-დან 31.12.2017-ჩათვლით
4	კია სერატო	MTA-070	1	2011	12804			01.01.2017-დან 31.12.2017-ჩათვლით
5	ჰიუნდაი აქსენტი	VWW-196	1	2012	10916.16			01.01.2017-დან 31.12.2017-ჩათვლით
6	ჰიუნდაი აქსენტი	VWW-198	1	2012	10916.16			01.01.2017-დან 31.12.2017-ჩათვლით
7	ჰიუნდაი აქსენტი	VWW-198	1	2012	10916.16			01.01.2017-დან 31.12.2017-ჩათვლით
8	სუზუკი სვიფტი	GBB-573	1	2013	14062.96			01.01.2017-დან 31.12.2017-ჩათვლით
სულ ჯამი:					<b>113179.90</b>			

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო  
წინადადების ფასი:

\_\_\_\_\_ლარი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

შენიშვნა: სატენდერო წინადადების ფასი უნდა შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან  
დაკავშირებულ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს.

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი \_\_\_\_\_



1. რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- საიდენტიფიკაციო კოდი:
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ელექტრონული მისამართი:
- ბანკის კოდი:
- ანგარიშსწორების ანგარიში: